დანართი N9

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები იზოლაციაში მყოფი პირებისათვის

1. **ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით დადგენილი წესის მიხედვით პირის იზოლაციაში/საკარანტინო სივრცეში მოხვედრისას დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:**

ა) პირი იზოლაციაში უნდა იმყოფებოდეს დაავადების გამომწვევთან ექსპოზიციის ბოლო თარიღიდან 14 დღის განმავლობაში, შესაბამისი მოცულობის საცხოვრებელ სივრცეში (თითოეული ადამიანის ცალკე ოთახში განთავსების შესაძლებლობით), რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ჰაერცვლის სისტემა თითოეული ოთახისთვის, ან სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ბოქსის, ნახევრადბოქსისა ან ბოქსირებული პალატების არსებობის შემთხვევაში;

ბ) იზოლირებისას შესაძლოა პაციენტი მოხვდეს კოჰორტულ (ჯგუფური, მაგ: ოჯახის წევრები) იზოლაციაში, კოჰორტის შემადგენლობის მსგავსი ექსპოზიციისას (ისაზღვრება ეპიდემიოლოგის მიერ) იზოლირებულთა თანხმობის შემთხვევაში;

გ) იზოლირების ადგილას უზრუნველყოფილია:

- დღეში სამჯერადი კვება, საკვების/სასმელის ინდივიდუალური კონტეინერებით მიწოდებით (სურვილის შემთხვევაში საკვების მიწოდება შესაძლებლია მოხდეს ოჯახის წევრების მიერ);
- თეთრეულისა და პირადი მოხმარების საგნებით (მათ შორის, ტანსაცმელი) რეგულარული მომარაგება (სუფთა ტანსაცმელი შესაძლებელია მიეწოდოს ოჯახის წევრების (ახლობლების) მიერ, ხოლო ნახმარი გაირეცხოს ადგილზევე, ან გადაეცეს ოჯახის წევრებს (ახლობელს) გასარეცხად;
- ქრონიკული დაავადებით დაავადებულ პირთათვის საჭირო მედიკამენტებისა და სამედიცინო საგნების (მ.შ. სადეზინფექციო დანიშნულების) რეგულარული მიწოდება (შესაძლოა განხორციელდეს ახლობლების მიერ);
- საიზოლაციოდ გამოყოფილი ოთახების/პალატების ყოველდღიური დალაგება/დასუფთავება და სანიტარული კვანძების დეზინფექცია (უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისად მომზადებული/ტრენირებული პირების და/ან სურვილის შემთხვევაში თავად იზოლირებული პირის მიერ);

- ყოველდღიური სამედიცინო ზედამხედველობა ტემპერატურის ადგილზე გაზომვით, დისტანციური ან ინდივიდუალური თერმომეტრით;
- სამედიცინო ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს პაციენტთან უშუალო კონტაქტის გარეშე - ტემპერატურის თვითგაზომვით, სიმპტომების გამოვლენისას თვითანგარიშგებით;
- ცხელების და ან რესპირაციული ვირუსული ინფექციის მსგავსი კლინიკური ნიშნების გამოვლენისას - ჰოსპიტალიზაცია ინფექციური პროფილის სტაციონარში, ხოლო კოჰორტული იზოლაციისას პაციენტთან ერთად მყოფი პირისთვის იზოლაციის გახანგრძლივება პაციენტისთვის დიაგნოზის განსაზღვრამდე ან ახალი კორონავირუსისთვის განსაზღვრული ინკუბაციური პერიოდით - დამატებით 14 დღით;
- არაგადამდები დაავადების (მაგ; ქირურგიული, გინეკოლოგიური და სხვა) სასწრაფო სტაციონარული სამედიცინო დახმარების საჭიროებისას, კლინიკაში ტრანსპორტირება სპეციალური ავტოტრანსპორტით, სტაციონარში ბოქსირებულ პალატაში (და ან გამწოვი ვენტილაციით აღჭურვილ პალატაში) განთავსებით საიზოლაციო პერიოდის ვადის გასვლამდე;
- სატელეფონო კავშირის და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა.

დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა - ჯანსაღად კვება, დასვენება, ფიზიკური აქტივობა და სოციალური კონტაქტის შენარჩუნება ძვირფას ადამიანებთან; სახლში და ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით ოჯახის სხვა წევრებსა და მეგობრებთან კონტაქტი

2. თუ საკარანტინო ზონაში მოთავსებული პირი დასაქმებულია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია, ასეთ პირებზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს საავადმყოფოს ფურცლის ტოლფასი სამართლებრივი შედეგების მქონე ცნობა.

დამატებითი ინფორმაცია :

www.moh.gov.ge
ცხელი ხაზი: 1505

www.ncdc.ge
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge